ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი აცხადებს მიღებას 2015-2016 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისთვის სამაგისტრო პროგრამაზე „ სატრანსპორტო ლოგისტიკა“

2015-2016 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის მაგისტრატურაში მიღების ვადები (ბნსუ-ს რექტორის ბრძანება №03-42 10.08.15):

მაგისტრანტობის კანდიდატთა საბუთების მიღება (რეგისტრაცია) იწარმოებს 2015 წლის 24 აგვისტოდან 8 სექტემბრის ჩათვლით, ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 10:00-საათიდან 17:00 საათამდე.

გამოცდაზე დასასწრებად კონკურსანტმა უნდა იქონიოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა ან პასპორტი;

გამოცდების დაწყების დრო: 11^{00} სთ.

ა) გამოცდა უცხო ენაში (ინგლისური ენა) – 9 სექტემბერი;
ბ) გამოცდა უცხო ენაში (რუსული ენა) – 11 სექტემბერი;
გ) გამოცდა სპეციალობაში - 14 სექტემბერი;
დ) გამოცდების შედეგების გამოცხადება – 15 სექტემბერი;
ე) გამოცდების შედეგების გასაჩივრება – 16 სექტემბერი;
ვ) აპელაციის შედეგების გამოცხადება – 17 სექტემბერი;
ზ) ჩარიცხვის ბრძანების პროექტის მომზადება - 21 სექტემბერი;

ბნსუ-სუ-ს მიმღებ კომისიაში წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა:
ა) განცხადება ბნსუ-ს რექტორის სახელზე;
ბ) პირადობის მოწმობის (პასპორტის) ასლი;
გ) გამოცდების ეროვნული ცენტრის საგამოცდო-საიდენტიფიკაციო ბარათი;
დ) ბაკალავრის (ან მასთან გათანაბრებული) აკადემიური ხარისხის დამადას¬ტურებელი დიპლომის და დანართის ნოტარიულად დამოწმებული ასლი (ბსუ-ს კურსდამთავრებულთათვის უნივერსიტეტის მიერ, 2015 წელს კურსდამთავრებულთათვის - ცნობა აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე).
ე) უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატის ნოტარიულად დამოწმებული ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
ვ) ორი ფოტოსურათი, ზომით 3X4–ზე, ელექტრონული ვერსია CD დისკზე;
ზ) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირებისთვის);
თ) უცხო ქვეყანაში მიღებული განთლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
ი) სხვა დოკუმენტი, თუ ასეთს ითვალისწინებს შესაბამისი სამაგისტრო პროგრამა;